საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის

ბრძანება №34
2026 წლის 11 მარტი

ქ. თბილისი

„თავშესაფრის მაძიებლის მიმღებ ცენტრში დროებით განთავსების, მიმღები ცენტრის დატოვების, მიმღებ ცენტრში განთავსების უფლების შეწყვეტისა და მიმღებ ცენტრში განთავსებული პირის მფლობელობაში არსებული ნივთების განკარგვის საფუძვლებისა და წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2025 წლის 6 ოქტომბრის №104 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე **ვბრძანებ:**

მუხლი 1

„თავშესაფრის მაძიებლის მიმღებ ცენტრში დროებით განთავსების, მიმღები ცენტრის დატოვების, მიმღებ ცენტრში განთავსების უფლების შეწყვეტისა და მიმღებ ცენტრში განთავსებული პირის მფლობელობაში არსებული ნივთების განკარგვის საფუძვლებისა და წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2025 წლის 6 ოქტომბრის №104 ბრძანებით (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე (www.matsne.gov.ge), 06/10/2025, სარეგისტრაციო კოდი: 140130000.22.034.017633) დამტკიცებულ წესში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. მე-6 მუხლის მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4. თავშესაფრის მაძიებელი ვალდებულია გაუფრთხილდეს მისთვის დროებით სარგებლობაში გადაცემულ მატერიალურ ფასეულობებს და მიმღებ ცენტრში განთავსების უფლების შეწყვეტისას, მიმღებ ცენტრს დაუბრუნოს მისთვის დროებით სარგებლობაში გადაცემული ნივთები – პირველადი მოხმარების საგნები. თავშესაფრის მაძიებლის მიერ პირველადი მოხმარების საგნების დაბრუნებისას ფორმდება თავშესაფრის მაძიებლის მიერ პირველადი მოხმარების საგნების დაბრუნების შესახებ ოქმი (დანართი №6^1).“.

2. წესს დაემატოს თანდართული შინაარსის №6^1 დანართი.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს შინაგან საქმეთა
მინისტრი **გელა გელაძე**